ცნობის ფურცელი

№ 1997 ხუთშაბათი, 28 ნოემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1997

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-70 №-რი.

თავადი დავით და ილია ზაქარიას ძენი მელიქიშვილები და კნეინა მართა ზაქარიას ასული ჭავჭავაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას თავიანთ დედის

კნეინა მარიამ ზაქარიას ასულის მელიქიშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, 8 საათზე საღამოს. კოჯრის ქ. № 7. დასაფლავების დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. (—462—)

წარმოდგენა 18. ტელეფონი 617

✦ **საბენეფისო წარმოდგენა** ✦

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, 1902 წელს

კ. ს. მესხის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

იფიმია მესხის მონაწილეობით

პირველად ახალი პიესა

კოვერლეის მკვლელობა

დრამა 5 მოქმ. და 6 სურ., თარგმ. დ. მესხის მიერ.

ამ პიესისთვის საგანგებოდ გაკეთებულია ახალი დეკორაცია და მოწყობილობა. სცენაზედ გაივლის რკინის გზის მატარებელი ვაგონებით.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ელენტი, რკინელი და სხვ.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მ-დან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კ-დან 3 მ-მდე, ამფითეატრი 80 კ-დან 1 მ. 50 კ-მდე, გალერეა 25 კ-დან 45 კ-მდე. შეგირდებისათვის ადგილები 50 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **„ქარჩიუფა“, „ცქრიალა“, „სიძე-სიმამრი“, „გრიგალი“.**

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კავკასიის პირველ სამთომადნო ოლქის ინჟინერი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მის თავმჯდომარეობით, თანახმად მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებისა, მომავალ 1903 წლის 7 იანვრისათვის, ქალაქ ქუთაისში, დანიშნულია მეხუთე მორიგი კრება მარგანეცის მრეწველთა და რომ რწმუნების ქაღალდების მიღება კრებაში მონაწილეობის მისაღებად მოსპობილი იქნება კრების გახსნამდე სამის დღის წინ. **მარგანეცის მრეწველთა მომავალი კრების პროგრამა.** მარგანეცის მრეწველთა მომავალ (მეხუთე) კრებისათვის მთავრობას შემდეგი პროგრამა დაუმტკიცებია: 1. კრების მდივნის არჩევანი; 2. განხილვა ანგარიშებისა: კრების საბჭოსი, სარევიზიო კომისიისა შესახებ კრების შესავალ-გასავლის შემოწმებისა და ვაგონების განაწილების კომიტეტისა; 3. განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა; 4. მოხსენება შესახებ იმისა, რომ ჭიათურას დაერქვას „პოსადი“ და შემოღებულ იქნას იქ თვითმმართველობა; 5. შეძენა ადგილებისა კრების შენობათა ასაგებათ; 6. ჭიათურაში მომრიგებელ-სასამართლოს დაარსება; 7. შავ-ქვაზე გარდასახადის რაოდენობის დადგენის გადაწყვეტა; 8. შავი-ქვის მწარმოებელთა კრების დებულების ზოგიერთ პარაგრაფების შეცვლა; 9. ჭიათურაში ხაზინის დაარსება; 10. გამართვა საქიმიო ლაბორატორიისა; 11. შავი-ქვის გასარეცხათ ქარხნის გამართვა; 12. დაბალ და მაღალ სამთამადნო სასწავლებლებში სტიპენდიების დაარსება; 13. ჭიათურის მადნების საგეოლოგიო რუქის შედგენა; 14. ჭიათურის რკინის გზაზე ტარიფის შემცირების შესახებ; 15. მოხსენება კომისიისა, რომელიც მესამე კრებამ აირჩია და რომელსაც დაევალა შეადგინოს ეს მოხსენება შესახებ სამთამადნო დაბალ სასწავლებლის დაარსებისა ქუთაისის გუბერნიაში და აგრეთვე შტეიგერების ინსტიტუტის დაარსებისა; 16. გაწესრიგება ჭიათურაში არსებულ სამთო ზედამხედველთათვის პრაქტიკულ კურსებისა; 17. ჭიათურისა და ამიერ კავკასიის გზებით შავი-ქვის გადატანის პირობათა განკარგულება და სხვა სარკინის გზო და სანავთ-სადგურო საქმენი; 18. ჭიათურაში სახელოსნო სასწავლებლის დაარსება; 19. ბრაზილიაში შავი-ქვის წარმოების ვითარება; 20. გზატკეცილებისა, მავთულისა და ხელოვნური ღარების გამართვა ქვის ჩამოსატანათ; 21. დაარსება ნაფიც მწონელთა ინსტიტუტისა; 22. მუშათა მდგომარეობის განკარგებისათვის ღონისძიებანი; 23. სასანიტარო და საბეითალო თვალყურის გდების ორგანიზაცია; 24. მაღნებში მუშების დაზღვევის პირობათა შეცვლა; 25. არჩევნები: ა) საბჭოს თავმჯდომარისა; ბ) საბჭოს წევრთა; გ) საწყობებისა და ვაგონების გამანაწილებელ კომისიის წევრთა და მათის კანდიტატებისა და გ) სარევიზიო კომისიის წევრთა და მათის კანდიდატებისა. (ნ. 3—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ნ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელაშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

„ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ ხელის მომწერთ **1903** წლის დამდეგს

პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ა ხ ა ლ ი ს უ რ ა თ ი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მანეთი 50 კაპ. ეღირება. (3—1)

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ტფილისის კრუჟოკი

ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესს

მფარველობის ქვეშ მყოფის ზემო-ავჭალის სამიწათ-მოქმედო და სახელოსნო მცირე წლოვან დამნაშავეთა კოლონიის თანხების გასაძლიერებლად

6 დეკემბერს 1902 წ.

გამართული იქნება

ბალი

საკონცერტო და სალიტერატურო განყოფილებებით.

მონაწილეობას მიიღებენ ბევრი გამოჩენილი არტისტი და მოყვარულნი: ქალნი-მომღერალნი, მომღერალნი, წამკითხველნი და მემუსიკენი.

„კრუჟოკ“-ის დარბაზები მორთული იქმნება. ანტრაქტებში კოლონიის მოსწავლეთაგან შედგენილი მემუსიკეთა დასი დაუკრავს. დაწვრილებითი ცნობები აფიშებში იქნება გამოცხადებული.

შესავალი ფასი 2 მან. 10 კ.

ყოველ პრემიას დიდი მადლობით მიიღებენ. **კონცერტი დაიწყება საღამოს 8 საათზე, ბალი—10 საათს.**

დიასახლისი ბალისა, სატუსაღო ქალთა-კომიტეტის თავმჯდომარე **ქ-ნი სვეჩინისა.**

ბილეთები იყიდება: საზოგადოების წიგნებთან: ა. ს. ფრენკელთან (გრიბოედოვსკაიდ 33), ა. პ. მირონოვიჩთან და ა. ა. მაქსიმოვიჩთან (სამოსამართლო პალატა), ლ. ბ. ის დეკელისწიგნის მაღაზიაში, ლოტის საკანფიოტეროში (დვორცოვი ქუჩა) და „ტფილისის კრუჟოკში“. (3—მ.—1)

სრულიად ახლად გადაკეთებული

„იუჟნიე ნომერა“

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილ ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა,** ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—3)

კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა

„შრომა“

ჭყიდის ხე-ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან. მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—26)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ბრძოლა პარლამენტში ნაციონალისტთა და სამინისტროს მომხრეთა შორის არა სცხრება. ამას წინად პალატამ 16 კომისია ამოარჩია. კომისიებმა უნდა განაგონ საქმეები ბაჟებისა, შრომის მოწყობისა, რკინის გზებისა, დაზღვევისა, საზოგადო სამუშაოებისა, სახალხო-განათლებისა, მიწათ-მოქმედებისა და სხვათა შესახებ. ეს კომისიები ძილს უფრთხობენ ოპორტიუნისტებს და ნაციონალისტებს. ისინი წინააღმდეგნი არიან როგორც თვით კომისიების დაწესებისა, ისე არჩეულ წევრებისა. ეშინიანთ, კომისიებმა დიდი გავლენა არ იქონიონ პალატასა და საადმინისტრაციო დაწესებულებებზე. ამ დაწესებულებებში დღემდე ოპორტიუნისტების მეგობარ მახლობელნი არიან, რომელნიც, რაღა თქმა უნდა, წინააღმდეგობით აფერხებენ სამინისტროს პროგრესიულ მოქმედებას. ძველის მოტრფიალეთ უფრო ის აწუხებთ, რომ პალატის უმრავლესობამ კომისიის წევრებად თავის მომხრენი ამოარჩია. აი ამიტომ გაიძახიან მალი მალ „ტირანიისა“ და „ძალ-მომრეობის“ შესახებ. ამ შემთხვევაში ოპორტიუნისტებს ყველაზე ნაკლებ ამოღებინებათ ხმა. თვით მისცეს რადიკალებს საბუთი ასე მოქცეულიყვნენ და არა სხვა ნაირად. ოპორტიუნისტები ბატონობის დროს სდევნიდნენ და ახლოს არ იკარებდნენ რადიკალებს. ხშირად საჯარო ბრძოლასაც უწევდნენ. ყველა ამისთვის რადიკალები, რასაკვირველია, თვალებს არ დაუკოცნიდნენ და სამაგიეროს სამაგიეროთივე გადაუხდიდნენ. ასეც მოიქცნენ: თექვსმეტს კომისიაში მხოლოდ რამდენიმე კაცი აარჩიეს ოპორტიუნისტი და ნაციონალისტი.

✦ 18 ნოემბერს მარსელში კრება ჰქონდათ გაფიცულ ზღვაოსანთ. დაესწრო 3,500 კაცი. პირველად წაიკითხეს განცხადება. რადგანაც გემის პატრონთ არ შეასრულეს მუშების მოთხოვნილებანი, ნათქვამია განცხადებაში, კომიტეტმა საბუქსირო გემების მუშებს მიჰმართა და სთხოვა მიმხრობოდნენ გაფიცულთაო. ეს თხოვნა ზემოხსენებულ მუშებს მიუღიათ და მუშაობა აუკვეთნიათ. შემდეგ კრებამ დაადგინა, ამხანაგებად არ ჩასთვალოს ისინი, ვინც ერთის დღის განმავლობაში გაფიცულთ არ მიემხრობიან.

ამ გაფიცვის გამო საქონლის გადაზიდვ-გადმოზიდვა ძალიან გაჭირდა. ფოსტაც-კი ძლივსღა იგზავნება მარსელიდან ალჟირსა, ტუნისსა და კორსიკაში.

✦ მთავრობამ სენატს გადასცა ექვსი თხოვნა სასულიერო კონგრეგაციებისა. თხოულობენ, ნება მოგვეცით საფრანგეთში დავრჩეთო. მთავრობის აზრით, დარჩენის ნება ამ ექვსიდან ხუთს უნდა მიეცეს. ამავე დროს მთავრობამ პალატაში შეიტანა დეპუტატთა 55 თხოვნა კონგრეგაციების დატოვებისავე შესახებ. მთავრობა ურჩევს, პალატამ არც ერთი თხოვნა არ შეიწყნაროს. თხოვნები განსახილველად განსაკუთრებულ კომისიას გადაეცა.

ინგლისი. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ირლანდიელმა დეპუტატებმა განაცხადეს, აღარ ვივლით საზოგადოებათა პალატაშიო. კათოლიკე ეპისკოპოსებმა ამის გამო დიდი საყვედური გამოუცხადეს ირლანდიელ დეპუტატებს და იმათ მეთაურს რედმონდს. მეგობარ ეპისკოპოსების აზრით, ირლანდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელთა პალატაში ყოფნა დიდად და დიდად საჭირო ირლანდიის საქმისათვის. როგორც ეტყობა, ამ საყვედურს უმოქმედნია რედმონდზე. აი, რასა სწერს ირლანდიელთა ჟურნალი: „სასკოლო ბილი მშვიდობიანად გასცდა საზოგადოებათა პალატას, მაგრამ შესაძლებელია იგი დამახინჯებულ იქმნას ზედა პალატაში. მეორეს მხრივ, სასურველია სასარგებლო რამ დაემატოს ბილს. ასე თუ ისე, ირლანდიელ დეპუტატთა ყოფნა პალატაში საჭიროა. რადგანაც ამასვე მოწადინებული ირლანდიის სასულიერო წოდება, ამიტომ ვთხოვ ჩვენ დეპუტატებს, მზად იყვნენ დაბარებისათანავე ლონდონში ჩასასვლელად და პალატაში მონაწილეობის მისაღებად".

◆ ჟურნალ „ფორტ. რევ."-ში მეტად საყურადღებო წერილია მოთავსებული ირლანდიის შესახებ. „უნიონისტებსაც და ჰომრულის მომხრეთაც, სწერს ავტორი, კარგად მოეხსენებათ ეხლა, რომ ირლანდიას სძულს და ეზიზღება ინგლისი.

ეს სიძულილი ყველაზე ნათლად და აშკარად გამოიხატა სამხრეთ-აფრიკის ომის დროს. ირლანდიამ საჯაროდ აღიარა სამხრეთ-აფრიკის ომი უსამართლო და უპატიოსნო საქმედ, საჯაროდ მიემხრო იგი ბურებს; ირლანდიელი დეპუტატი, პოლკოვნიკი გენდი ბურთა შორის იბრძოდა ინგლისის წინააღმდეგ. სიძულილი გამოაშკარავდა კიდევ გვირგვინის კურთხევის დროს. საზოგადოდ, ირლანდიელები არა მალავენ თავიანთ სიძულილს. რა არის ამ სიძულილის მიზეზი? რად ეზიზღებათ ირლანდიელებს ინგლისი? ამ სიძულილის მიზეზი ორია: ეროვნულ გრძნობის შელახვა და ქონებრივად დაჩაგვრა. ინგლისი ბედნიერია, თავისუფალი, მდიდარი; ირლანდია კი—ღარიბი, დაჩაგრული და დამონავებული. ინგლისის ბატონობის წყალობით ირლანდიის მცხოვრებთა რიცხვმა იკლო, ხოლო სიღარიბემ იმატა. 50 წლის განმავლობაში ირლანდიის მცხოვრებთა რიცხვი განახევრდა. ამისი მიზეზი ემიგრაცია კი არა, მართვა-გამგეობის სისტემაა. განა ყველა ამის შემდეგ საკვირველია, რომ ირლანდიას ინგლისი სძულდეს და ეზიზღებოდეს? ამბობენ კიდევ, რომ ირლანდიელთა გულის მოგება და დამეგობრება არ შეიძლებაო. არა, ბატონებო, შეიძლება, თუ, რასაკვირველია, ინგლისი მოისურვებს და მოიწადინებს. ერთად-ერთი საშუალება ჰომრულია. ინგლისმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს, რომ თუ ჰომრულით არა, სხვა ვერაფრით ვერ დააწყნარებს ირლანდიასა და ვერ მოიგებს იმის შვილთა გულს."

— როგორც სამხედრო სამინისტროს ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, ინგლისს ბევრად მეტი დაუხარჯნია სამხრეთ-აფრიკის ომზე, ვიდრე ჰფიქრობდნენ. სულ ხარჯი უდრის 2,423,406,920 მანეთს. აქედან—680,000,000 მანეთი ჯარის გადაზიდვას მოუნდა, 520,000,000 მან. ცხენების ყიდვას და 310,000,000 მანეთი სურსათსა და საქონლის საკვებს. ბრძოლაში ინგლისის მხრივ მონაწილეობა მიიღო 350,000 კაცმა. თითო კაცზე დაიხარჯა 1,970 მანეთი.

◆ გაზეთებში დაბეჭდილია ანგარიში იმ სამეფო კომისიის მოქმედებისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სამხედრო სასამართლოების მიერ სამხრეთ-აფრიკაში დადგენილ განაჩენის განხილვა. კომისიას თავმჯდომარეობდა მთავარი მოსამართლე ლორდი. კომისიას განუხილავს განაჩენები 795 კაცის შესახებ. ამათგან 722 კაცი კაპის ახალშენის მცხოვრებია, 59 ტრანსვალიისა და ორანჟესი და 14—ნატალისა. 198 ბრალდებულის შესახებ კომისიას დაუმტკიცებია სასამართლოების განაჩენი, 478 ბრალდებულის შესახებ სასჯელი შეუმსუბუქებია, ხოლო 119 შესახებ—გაუუქმებია. ამ უკანასკნელთა შორის 34 ისეთია, რომელთაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ბრალდებულნი, ორიოდე გერმანელის გარდა, ყველანი აფრიკანდერები და ბურები არიან.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. იტალიის იუსტიციის მინისტრმა ისევ შარშან შეიმუშავა და წარუდგინა პალატას კანონ-პროექტი განქორწინების შესახებ. იტალიაში, როგორც ბევრგან სხვაგან, დღევანდელ კანონის მეოხებით მეტად ძნელია მეუღლეთა განქორწინება. ახალის პროექტით ეს საქმე გაადვილებულია. შარშანვე ამ კანონ-პროექტის გამო კლერიკალებმა ერთი ალიაქოთი და ვაი-უშველებელი ასტეხეს. მაგრამ მალე დაწყნარდნენ, რადგანაც მინისტრმა განაცხადა, რომ პროექტით განქორწინება მხოლოდ იშვიათ შემთხვევის დროს შეიძლებაო. ეხლა გაიგეს, რომ მინისტრი მაშინ მართალს არ ამბობდა და რომ პროექტი მეტად ლიბერალურია. ამიტომ აგიტაციას მოუმატეს. ვატიკანი კლერიკალთაგან ცხარე და მედგარ ბრძოლას თხოულობს. ყველგან იტალიაში ამ ჟამად კრილობები იმართება თურმე პროტესტის გამოსაცხადებლად. ყველაზე მეტად, რასაკვირველია, ეპისკოპოსები მეცადინეობენ; პეტიციებს პეტიციებზე ჰგზავნიან. საქმე მეტად მწვავდება თურმე. კლერიკალებს გარდა კონსერვატორნიც წინააღმდეგნი არიან ახალ კანონისა. კონსერვატორებს მარჯვე შემთხვევად მიაჩნიათ ეხლანდელი დრო სამინისტროს დასამარცხებლად და დასაცემად.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ. ოსმალეთის მთავრობამ ახალი ჯაშუშები გაიჩინა. ამ ხელობისათვის მთავრობას მათხოვრები მიუწვევია. დადიან თურმე ქუჩა-ქუჩა მათხოვრები და გამვლელ-გამომვლელთ ეუბნებიან, „თუ სულთანი ჰამიდი გიყვართ, გვაჩუქეთ რამეო". ბევრნი ლაზათიანად შეუკურთხებენ ხოლმე ჰამიდსაც და მათხოვარსაც. ასეთები მეორე დღეს საპყრობილისაკენ მიჰყავთ. ხალხი ისე დაშინდა, რომ მათხოვრებს უარს აღარავინ ეუბნება თურმე.

* * *

ახალი ამბავი

◆ ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესს ბრძანების თანახმად, **დღევანდელი დიდი წირვა ჩაითვლება** მხედრობათათვის 1877—1878 წ. რუს-ოსმალოს ომის დროს პლევნას აღებისა და ოსმან-ფაშის მხედრობის დატყვევების მოსაგონებლად. ამის გამო სამხედრო ტაძარში დღეს, ჯარების თანადასწრებით, პარაკლისს გადაიხდიან. წუხელის იმავე ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს ხელმწიფე იმპერატორთ ალექსანდრე მე-II და ალექსანდრე მე-III და იმ ჯარის კაცთა სულის მოსახსენებლად, რომელთაც იმ ომს თავი შესწირეს.

◆ **პარიზიდან** გვწერენ: ქართველ მოსწავლეთა რიცხვმა უცხოეთის უნივერსიტეტებსა და სხვა-და-სხვა სპეციალურ სასწავლებლებში წრეულ ერთბაშად იმატა. მარტო პარიზში ამ ჟამად 15 კაცია, რომელთაგან 4 ქალია; ჟენევაში (შვეიცარიაში) 25 კაცია, იმათგან 15 ქალია; ბელგიაში (ბრიუსელი, ლიეჟი) 9 არიან (3 ქალი და 6 კაცი); გერმანიაში (ბერლინი, ლეიპციგი, ფრიბურგი, მიუნხენი და სხ.) 16 კაცია. სულ ამ სამოსწავლო წელიწადში საზღვარგარეთ 60-ზე მეტი ქართველია.

◆ **პარიზის** საანტროპოლოგიო საზოგადოების მემუარებში (Bulletins et Mèmoirs de la sociêtê d'Anthropologie, tome troisieme, 1902) დაბეჭდილია თ. სახოკიას და აზულეს წერილი ქართულ ფონეტიკის შესახებ (Phonètique du gèorgien), წაკითხული ზემოხსენებულ საზოგადოების კრებაზე ამა წლის თებერვალში.

◆ თავ. ვ. გ. მაჩაბელმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას **ვრცელი მოხსენება** წარუდგინა. მოხსენება შეეხება იმ ღონისძიებას, რომელთა მიღებაც საჭიროა ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მოხსენებაში თავ. მაჩაბელი სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ერთ შემაფერხებელ გარემოებად ასახელებს ჩვენში მიწების გაუმიჯნაობას და გლეხების დაუხსნელობას. თავ. მაჩაბელი სოფლად სწავლის საქმის მოუწყობლობასაც ეხება. საჭიროა, ავტორის აზრით, ეს საქმე თავისუფალი იყოს ამა თუ იმ პოლიტიკურ მოსაზრებისაგან. ხალხს უფლება უნდა ჰქონდეს მშობლიურ ენაზე შეიძინოს ცოდნა; უნდა დაარსდეს უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ჩვენის ქვეყნის იმ უმრავლესობას, რომელსაც არ ძალ-უძს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გამგზავრება, აქვე შეეძლოს სწავლა-ცოდნის მიღება. თავ. მაჩაბელი იღნიშნავს აგრეთვე იმას, რომ ჩვენში არ არის ისეთი დაწესებულება, რომელმაც თავს უნდა იდვას ხალხში სწავლა-ცოდნის გავრცელება, გზების გაყვანა-გაუმჯობესება, მთავრობის წინაშე სხვა-და-სხვა საჭიროებაზე შუამდგომლობის აღძვრა და სხვ. დასასრულ, მაჩაბლის აზრით, საჭიროა შუამდგომლობა აღიძრას მთავრობის წინაშე, რომ ჩვენის ქვეყნის უმიწაწყლო გლეხებს დაეთმოთ სახელმწიფო მიწები იმავე პირობით, რა პირობითაც ეთმობათ რუსეთიდან გადმოსახლებულებს. ამ მოხსენებას სამეურნეო საზოგადოება განიხილავს მომავალ სამშაბათს, 3 დეკემბერს.

◆ ხვალ, 29 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, **კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში** კრებაა დანიშნული; განსახილველად დანიშნულია, სხვათა შორის, თავ. ლ. გ. ჯანდიერის მოხსენება „მიწის საკუთრებათა დაცვის" შესახებ. კრებას კერძო პირთაც შეუძლიათ დაესწრონ.

◆ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს ყველა სკოლის **მასწავლებლებისათვის ბრძანება გაუგზავნია**: იმ საზოგადო საქმეებში, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სწავლასთან, მონაწილეობას ნუ იღებთო.

◆ ტფილისის **პოლიციაში მოსამსახურეთა რიცხვს უმატებენ**. ახალის პროექტით, პოლიცმეისტერს მეორე თანაშემწეს დაუნიშნავენ ან განსაკუთრებულ მინდობილებათათვის ცალკე მოხელეს. დაბალ პოლიციელთა რიცხვი გაცილებით უნდა ამრავლონ. ქალაქის პოლიციაში მოსამსახურეთ ჯამაგირებიც მეტი მიეცემათ ახალის შტატით: ეხლანდელის ჯამაგირის მეხუთედი კიდევ მიემატებათ.

◆ ამ ექვსის წლის წინად გარდაცვლებულის **ვაჭრის ჩერქეზოვის ქვრივს** ქალაქის გამგეობაში 50 თუმანი წარუდგენია ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. რადგან ამ ფულის სარგებლით სტიპენდია ვერ დაინიშნება, გამგეობას განზრახვა აქვს შეწირული ფული სკოლის სხვა თანხებს მიუმატოს.

◆ განსვენებულის **მარკოზოვის ანდერძით** შემოწირული ორასი თუმნის მომგებიანი ქაღალდები აქვს ქალაქ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. ეს ქაღალდები სარგებელს იძლევიან 19 მანეთს და დაზღვევა კი ამათი ჰღირს სამ თუმანზე მეტი თურმე; მომგებიანი ქაღალდები რომ არ დაიკარგოს, სკოლის თანხიდან უნდა აძლიონ ფული ქაღალდების დასაზღვევად. გამგეობა ამის შესახებ მოხსენებას ამზადებს.

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკში 16 დეკემბერს დაიწყება **ხაჯარო ვაჭრობა** იმ დაგირავებულ მამულების გასასყიდად, რომელთა პატრონებმა ბანკში დროზე არ შეიტანეს დარჩენილი გადასახადი.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, დიდუბეში ქალაქის ღამის მეორე თავ-შესაფარის სადგომში **სახალხო კითხვები** სექციები ჰმართავდნენ კითხვას. რადგანაც, თავ-შესაფრის სადგომი მოუხერხებელია კითხვებისათვის, ქალაქის გამგეობამ საჭირო ფული გადასდო და დაავალა თავ-შესაფრის გამგეს ბ-ნ მ. კლიმიაშვილს, კითხვებისათვის მოაწყოს თავშესაფართან ორი ოთახი.

◆ 21 დეკემბერს ტფილისის საკრედიტო საზოგადოების სადგომში დაიწყება **ხაჯარო**

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲜ

III

ხალხი სოფლებს ეტანება.—„ქალაქი-ბაღი".—ახალი სადგომები მუშებისათვის.—რა გაარიგეს საქალაქო საბჭოებმა და კერძო პირებმა მუშებისათვის.

ყველამ კარგად იცის, რომ წარსულ საუკუნის განმავლობაში მთელს ევროპაში ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი საკვირვლად იზრდებოდა; ინგლისში ხომ ქალაქები სოფლის ცხოვრებისა, მიწათ-მოქმედების და სოფლის მრეწველობის საზარალოდ იზრდებოდნენ. მარტო ლონდონმა ოთხ მილიონზე მეტი ხალხი მიიზიდა სოფლებიდან; მანჩესტერი, გლასგოვი და სხვ. ქალაქებიც ლონდონს მისდევდნენ. ქალაქები მომეტებულ ნაწილად მრეწველობის განვითარების წყალობით იზრდებოდნენ, ამიტომ ქალაქების მცხოვრებთა რიცხვსაც უმთავრესად ყოველნაირ ხელობისა და წარმოების მუშები ემატებოდნენ. ამ კლასს არც საკუთარი სახლები ჰქონდა, არც შეძლება იმათ ასაგებად. მუშა ხალხისათვის სახლების აშენებას კერძო კაპიტალისტები და ფინანსისტთა ამხანაგობები შეუდგნენ. შენობების აგება ისე სწრაფად მიდიოდა, „მუშების სადგომებს" ისეთი დიდი მოგება მოჰქონდათ, რომ უკანასკნელ 30 წელიწადში ლონდონში საშუალოდ 12 ათასიდან 17 ათასამდე სახლი შენდებოდა წელიწადში და მით მაინც ცარიელი სახლი ყოველთვის ცოტა იყო და სადგომის ქირასაც ყოველ წელს ემატებოდა.

ფინანსისტი-ამშენებლები სულ სხვანაირ გეგმაზე აგებდნენ შენობებს. ვერც ორნამენტებს, ვერც ნაირ-ნაირ სახლებს აქ ვერ შეჰხვდებით. მთელი ქუჩები, ხშირად მთელი უბნებიც აშენებულია მოშავო, ანუ რუხ აგურისაგან; ყველა სახლებს ერთნაირი სიმაღლე და ერთნაირი სახურავი აქვთ; რამდენი ფანჯარა და კარები ერთს სახლს აქვს, მეორესაც სწორედ იმდენი აქვს; ფანჯრისა და კარების ზომა და ფერიც ყველგან ერთნაირია. უყურებ ამნაირ სახლების ქუჩას და სწორედ გული გიწუხდება ამ დაუსრულებელ სადა აგურის კედლებისა და საშინელ ერთნაირობისაგან. მართალია, ახალ უბნებში ყოველ სახლს ბაღჩა და პატარა ბაღი აქვს უკან—რისაგანაც ლონდონში ძლიერ მრთელი ჰავაა—თითონ სახლებიც შიგნიდან კარგად არიან მოწყობილნი: გაყვანილია წყალი, გამართულია საბანებლები (ვანები), ზარები, განათებულია გაზით, მაგრამ სახლების გარეგანი შეხედულება და ქუჩების ერთნაირობა ულაზათოა და თავ-მომაბეზრებელი. ამ ერთფეროვანების და ულაზათობის წინააღმდეგ ცოტა კი არ თქმულა; ლონდონის ქუჩების უშნო და საძაგელი გარეგნობა ყველას სალაპარაკოდ გახდა. ამ ქუჩების ულამაზობას ყველაზე ძლიერ რუსკინი და მორისი ჰგმობდნენ; ბოლოს დროს ხომ ნიჭიერი რომანისტი-ქალი უიდა ალტაცებით და მჭევრმეტყველად გამოესარჩლა ლონდონის მცხოვრებლებს და ამტკიცებდა **ხალხს უფლება** აქვს მოითხოვოს, რომ ქუჩები და მოედნები ლამაზათა და კოხტად შენდებოდნენო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მთელმა განათლებულმა საზოგადოებამ სასაცილოდ აიგდო აქაური ხუროთ-მოძღვრები და ამათაც ძალაუნებურად თავი შეიწუხეს და ფასადების (სახლების წინაპირის) გამშვენებას და ორნამენტებს დაუფიქრდნენ.

როგორც ხშირად მოხდება ხოლმე, აქაც ხალხი ერთის უკიდურესობის მაგიერ, მეორე უკიდურესობაში ჩავარდა. ეხლა სახლებს მეტად უცნაურ პლანზე აგებენ; შიგნიდანაც ბევრ რაღაცნაირ თახჩებსა და წალოებს ატანენ უადგილო-ადგილას. ამის გამო ახალ სახლებში სწორე ოთახს ძნელად შეჰხვდებით: სულ რაღაცა უსწორ-მასწორი ოთახებია; ადგილი არ არის კაცმა დივანი ან საწოლი ისე დადგას, რომ ფანჯრიდან და კარებიდან ქარი არ უბერავდეს. უნდა სიმართლე ვსთქვათ, ლონდონის ახალ შენობებში დიდებული, ორიგინალი და ლამაზი შენობებიც შეგხვდებათ, მაგრამ ქალაქის საზოგადო შეხედულობა მაინც ერთფეროვანი და მომაბეზრებელია. ყველას გულს უწუხებს და ნაღვლიას უსივებს; ყველა ცდილობს საქმეს როგორმე უშველოს და ქალაქის გარეგნობას მრავალ-ფეროვანი და მხიარული ხასიათი მისცეს. ბოლოს დროს ბევრნი სულაც თავს ანებებენ ლონდონს და სხვაგან მიდიან საცხოვრებლად, სოფლებში და ზღვის ნაპირას მირბიან; ისევ იმას რჩეობენ, ყოველ დღე თითო საათი და მეტიც წასვლა-მოსვლაზე დაჰკარგონ, ოღონდ ამ უშნო რუხ აგურის გროვას, ბოლსა, მჭვარტლსა და ნისლს კი თავი დააღწიონ.

ეს მოძრაობა უფრო და უფრო ძლიერდება: უზარმაზარ ქალაქს თან-და-თან უფრო მეტი ხალხი ანებებს თავსა და სოფლებსა, მწვანე მინდვრებსა და ბაღებში მიდის დასასახლებლად. დაარსდა ახალი საზოგადოებანი, რომლებიც მომეტებულ ნაწილად ზღვის პირას მრავალ განმარტოებულს სახლს აგებენ და გარშემო მწვანე ბაღებს უშენებენ. ამნაირად ბევრი პატარა ქალაქი და სოფელი გაშენდა. მაგრამ ეს სახლები მარტო შეძლებულ კაცებისა, ძვირფას ხელოსნებისა და წვრილ მოხელეებისათვისაა ხელ-მისაწვდომი; მუშა-კაცი ათასში ერთი თუ შეიძლებს ამისთანა სახლის დაჭერას. დიდ ქალაქების მცხოვრებთა ყველა წრეები თან-და-თან უფრო ძლიერ ეტანებიან ამნაირ სოფლებში ცხოვრებას და ბოლოს დროს ხომ ღარიბებისათვის ხელ-მისაწვდომი სოფლებიც უფრო მეტი შენდება.

ამისთანა სოფლებში, სხვათა შორის, შე-

ეროვნული

რობა იმ დაგირავებულ მამულების გასას[illegible]დად, რომელთა პატრონებმა დარჩენილი გადასახადი დროზე არ წარადგინეს.

◆ იმ კომისიას, რომელსაც სამეურნეო საზოგადოების მიერ **პურით ვაჭრობის** განწეს-რიგების საქმე აქვს მინდობილი, დღეს კრება ექმნება. სხვათა შორის, უნდა განიხილონ ის საჭიროება, რომ ჩვენის მხრის რკინის გზათა სამმართველოში წარმომადგენელი იქმნეს დანიშნული სამეურნეო საზოგადოების მხრითა და ქალაქისაგანაც. ეს წარმომადგენელნი უნდა დაესწრნენ სამმართველოს კრებას იმ დროს, როცა სავაჭრო საქმეების შესახებ ბჭობა ექმნება.

◆ ქალაქის მოურავის მოადგილემ გუშინ-წინ წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს თანამდებობაში **დასამტკიცებლად თავ. ვ. ნ. მიქელაძე**, რომელიც საბჭომ თავისს წარმომადგენლად აირჩია ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში.

◆ გუშინ ჩვენ გვქონდა მოყვანილი ცნობა, რომ ძველ საბჭოს სულ 53 კომისია ჰყოლია არჩეული. ხმოსანს თამამშევს გამგეობის საქმეები უანგარიშნია და აღმოუჩენია, რომ ძველ საბჭოს 1897 წლის 1-ლ იანვრიდან დღემდე სულ არჩეული ჰყოლია 87 სხვა-და-სხვა კომისია. ბ-ნ თამამშევს ისიც უანგარიშნია რომელი ხმოსანი რამდენ კო[illegible]იაში ყოფილა არჩეული და აღმოჩნდა: ა. ს. ბაბოვი 36 კომისიაში, ი. ა. თაიროვი 26-ში, ნ. ი. არი[illegible]-დოლგორუკოვი 22-ში, [illegible]ქიმი ქოჩორიანცი 22-ში, ი. მ. ალიხანოვი [illegible]ში და სხვ. გუშინაც აღვნიშნეთ და ბ-ნ [illegible]ევის ცნობებიდანაც სჩანს, რომ კო[illegible]ები არ[illegible] წევრნი არა თუ არ დადიოდნენ კომისიის გამგ[illegible]ებზე, პირ-იქით, ბევრს არჩეულს [illegible] კომისიის არსებობა არც-კი სცო[illegible] [illegible]მიმხედვარე მოდი და საქმის კე[illegible] [illegible] მიანდე.

მეორე [illegible] **სახელოსნო სკოლის** პედა[illegible] ამ ბორ[illegible] და ამ სკოლის სამეურნეო ბ[illegible] [illegible]მისიას შეერთებული კრება [illegible] რომელზედაც დაუდგენიათ: ის [illegible], რომელსაც სკოლას ურჩევენ სა[illegible]გესამართავად, უვარგისიაო, მაგრამ [illegible]ოლას ასეთი ადგილი მაინც აუცილებლად [illegible]ირია, და ამიტომ განვაგრძოთ ამის ძებნა, მანამდე-კი, მოსწავლენი რომ უმუშაოდ არ დარჩნენ, ტფილისის ახლო ერთი დესეტინა ადგილი იჯარით ვიშოვოთ იაფ ფასადაო.

◆ **მეურნე-მრეწველთა შორის კავშირების** დაარსების შესახებ სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ცალკე კომისია აირჩია ა. ა. ქალანთარის თავმჯდომარეობით. კომისიამ [illegible] საგანი უნდა გამოიკვლიოს და მოკლე ხანში თავისი აზრი საბჭოს წარუდგინოს.

◆ **ჰიდრავლიურ სადგურის** გამგე კომი[illegible]ის თავჯდომარეს ინჟ. კირაკოსოვს წერილობითი მოხსენება შეუდგენია და კომისიისათვის წაუკითხავს შესახებ იმისა, რომ ბევრად უფრო სასარგებლოა სადგური ჰიდრავლიური იყოს და არა ორთქლის ძალისაო.

კომისიამ მოიწონა ეს მოხსენება და დაადგინა, დაიბეჭდოს და წევრებს დაურიგდეს საქმის გასაცნობათ. კომისიის წევრის ინჟ. ენფიანჯიანცის წინადადებით კომისიამ მიანდო თავჯდომარეს, მოსთხოვეთ ტრამვაის უსახელო საზოგადოებას, რა პირობებით უნდა თავს იდოს სადგურის გამართვა და აქედან ელექტრონის ძალით ქალაქის სხვა და სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილება, პირობები უნდა დაწვრილებით იქმნეს აღნიშნული, რომ ადვილად შევიძლოთ იმის გამოანგარიშება, თუ რამდენად სასარგებლოდ აღმოჩნდება ქალაქისათვის უსახელო საზოგადოების პირობანიო.

◆ ჩვენ ვიცით, რომ ქალაქმა სთხოვა რკინის გზის სამმართველოს, ჩვენი წარმომადგენელიც იყოს თქვენს საბჭოშიო, მაგრამ გზათა სამინისტრომ ამაზე უარი უთხრა ქალაქს იმ მიზეზით, რომ რკინის გზათა სამმართველოს საბჭოს სახელმწიფო დაწესებულებაა და იქ წოდებათა და საზოგადოებათა წარმომადგენელნი არ მიიღებიანო.

◆ დღეს, 28 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე სხდომა ექნება ქალაქის სასანიტარო სამკურნალო საბჭოს. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს ტფილისის სასწავლებელთა ექიმების განცხადებას, როგორ მოეწყოს ქალაქის სასწავლებლებში სამკურნალო თვალყურის დება, მოხსენებას იმ წესის შესამუშავებლად, რომლის სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული ქალაქის სამკურნალოებში ავადმყოფების მიღებისა და სამკურნალო შემწეობის აღმოჩენის დროს და სხვა.

◆ მარტყოფში ამ სოფლის მცხოვრებთ ივანე ხუციშვილსა და იოსებ გოგოჩაშვილს ჩხუბი მოსვლიათ. ჩხუბის დროს გოგოჩაშვილს ისე ძლიერად უკრავს ხელი, რომ ხუციშვილს თავი მიუხეთქებია ნიგვზის ხისთვის და რამდენისამე საათის შემდეგ გარდაცვლილა. ეს საქმე გაარჩია გუშინ-წინ ტფილისის ოლქის სასამართლომ, დამნაშავედ იცნო გოგოჩაშვილი და გარდაუწყვიტა ორის კვირით საპყრობილეში დაპატიმრება.

◆ 26 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ოზურგეთის მაზრის სოფელ ახალშენის მცხოვრების აზნ. დიმიტრი ოტ. ბერიძისა, რომელსაც აცტრიის საელჩოს მდივნის ბუხარტოვსკის სახლიდან 300 მან. და ნივთების მოპარვა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბერიძე და გარდაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში $2\frac{1}{2}$ წლით გაგზავნა.

◆ დრაგუნთა ნიჟეგოროდის რაზმის ყაზარმებიდან გზა ყოფილა გაყვანილი ნავთლუღამდე, კახეთის გზა-ტკეცილამდე. ეს გზა იმდენად გაფუჭებულია, რომ შეუძლებელია თურმე თავისუფლად მიმოსვლა. გუშინ ტფილისის გუბერნატორმა დაავალა ქალაქის გამგეობას, შეუდგეს ამ გზის შეკეთებას.

◆ გუშინ, 27 ნოემბერს, დილის $11\frac{1}{2}$ საათზე ვანქის ქუჩაზე, ამხანაგობის სტამბის პირდაპირ, სომეხთა სემინარიის შენობაში ცეცხლი წაეკიდა ფურნეს. ცეცხლის გაჩენა დროზე გაიგო მქრობელმა რაზმმა და ჩააქრო.

◆ 18-დან 26 ნოემბრამდე ტფილისში ავად გახდა: ყელჭირვებით 9 კაცი, ხუნაგით 13, ხურებით 5 და სხვ. სულ ამ ხნის განმავლობაში 34 კაცი გამხდარა გადამდებ სენით ავად.

რუსეთის ქრონიკა

◆ მომავალ წლის იანვრიდან დაიწყებს მუშაობას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გზათა უწყების წესდების გადასინჯვა. კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა სამინისტროების წარმომადგენელნი და აგრეთვე ერობათა და ბირჟის კომიტეტთა რწმუნებულნი.

◆ გზათა სამინისტროს ცნობებით, რუსეთის რკინის გზების სიგრძე ამ ჟამად უდრის 63,268 ვერსტს.

◆ 24 ნოემბერს, ქალთა საექიმო ინსტიტუტში დანიშნული იყო პირველად სადღესასწაულო აქტი, რომელზედაც დიპლომებს დაურიგებენ პირველად კურს დამთავრებულ ექიმ-ქალებს. თითქმის ყველა ახლად კურს დამთავრებული ექიმი-ქალები მიუწვევიათ სამსახურში ერობათ ან ქალთა სასწავლებელთ.

◆ საფოსტო უწყების ცნობებით, ამ ჟამად ფინლანდიაში 207 გაზეთი და ჟურნალი გამოდის თურმე; მათგან ერთი რუსულს, ერთი—რუსულს, შვედურს და ფინნურს ენებზე, სამი—ფინნურსა და შვედურზე, 136 ფინნურზე და 66 შვედურზე.

◆ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა რიაზანის სამაზრო კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ რა ღონისძიებათა მიღებით შეიძლება ეშველოს იმ გლეხთ, რომელთაც სამუშაო აქვთ საძებნელი სხვაგან. კომიტეტმა საჭიროდ დაინახა: 1) დაარსდეს ადგილობრივ ბიურო, საიდანაც შეიძლება ყოველგვარ ცნობების მიღება იმის შესახებ, თუ სად რა მოსავალია, რამდენი მუშა საჭირო და სხვა; 2) დაარსდეს ცენტრალური საერობო ბიურო იმ გუბერნიებისთვის, რომლიდან გლეხები სამუშაოდ გადიან და იმ გუბერნიებისა, სადაც მუშა-ხალხის ნაკლებობაა; 3) დაარსდეს მთავრობისაგან ინსპექცია, საფაბრიკო ინსპექციის დაგვარი, რომელსაც მიენდოს ამგვარ მუშების ყურისგდება და ზრუნვა მათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; 4) აღეკრძალოს სამუშაოდ სხვაგან წასვლა მცირეწლოვანთ (15 წლის შესრულებამდე) და 5) მოგზაურ მუშებს შეღავათი მიეციოს რკინის გზებითა და გემებით სარგებლობის დროს, ესე იგი, დაკლებულ იქმნას მიმოსვლის ბილეთების ფასი.

◆ საერო განათლების სამინისტრო ცირკულიარით შეჰკითხებია სახალხო სკოლების დირექტორებს, გამოსთქვან თავიანთ აზრი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაერთიანდეს საერო და სასულიერო უწყებათა მოღვაწეობა სახალხო განათლების საქმეში. სამინისტრო ამ ჟამად აგროვებს ამის შესახებ ცნობებსა და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა აზრებს, რათა შემდეგ დაამზადოს პროექტი და სახელმწიფო საბჭოს წარუდგინოს ახალი დებულება სახალხო განათლების საქმისა.

◆ ტომსკის ბირჟის კომიტეტმა განიხილა ფინანსთა სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებათა შემწეობით უნდა გაუმჯობესდეს ნოქართა მდგომარეობა, და საჭიროდ სცნო შემდეგი საშუალებანი: 1) აუცილებლად უნდა მიეციოს ნოქრებს თავისუფლება კვირა და უქმე დღეებში, რაც კანონით უნდა დაწესდეს; 2) აგრეთვე კანონით შემცირებულ უნდა იქნას სამუშაო დღე: მაღაზიებსა და დუქნებში მუშაობა უნდა გაგრძელდეს 12 საათი, ხოლო სავაჭრო კანტორებში 9 საათი. ამ საკითხს მალე სამინისტრო განიხილავს და შეუდგება ახალ კანონ-პროექტის შედგენას.

პატარა დღიური

„მოღვაწენი“

კომედია ერთ მოქმედებად.

ვუძღვნი ახლად დაარსებულ სახალხო [illegible]თხვათა საზოგადოების დამფუძნებელ[illegible]

კოხტად მორთული ოთახი. შუაში მაღალ[illegible] [illegible]ზის თავმჯდომარე. იქით-აქედან ირგვლივ [illegible] დამფუძნებელნი, სწორედ ისე, როგორც „[illegible]რის“ პირველ მოქმედებაში.

თავმჯდომარე. ფრიად საყურადღებო საქმისთვის მოგიწვიეთ, ბატონებო! მაგრამ ჯერ უნდა მოგახსენოთ, რომ წუხელ უცნაური სიზმარი [illegible]ხე: დიდ კრებულში, გაცხარებული, სიტყვ[illegible] [illegible]ბობდი. ამ დროს საიდგანღაც სამი თაგ[illegible] [illegible]ცოცდა; ამათვალ-ჩამათვალიერეს, შემდეგ [illegible]ნეს და მიიმალნენ. ამ სიზმარმა ძალიან ჩა[illegible]რა. დღე[illegible]ს დილით მკითხავი მოვიწვიე სიზ[illegible] ასახსნელად. ის [illegible] მკითხავმა აღარდა ბ[illegible] თვისნო, რომ ქადაგდა [illegible]მიგიდა პეტერბუ[illegible]დან. მწერდნენ, შეწუხებულნი შუამდგომ[illegible] თქვენ საზოგადოების დაარსების შესახებაო. ბატონებო, რა კეთილად ასრულდა ჩემი სიზ[illegible] ეხლა თქვენ მოგიწვიეთ ამ საქმისათვის. [illegible] არავის დავუძახე, რადგან ჯერ ერთი—საზ[illegible] მოღვაწეობა ჩვენ მეტს სხვას არავის შეუ[illegible] მეორე კიდევ—ნათქვამია „დღუმა გავარდეს, [illegible]ში ჩავარდესო:“ თხოვნა ჩვენ გავგზავნეთ, ასეთ საპატიო ადგილებზე სხვები რად უნდა მოვასკუპოთ?!... აბა, თქვენ რაღას იტყვით?

პირველი დამფუძნებელი წევრი. რა უ[illegible] გთქვათ! სრული ჭეშმარიტებაა: თხოვნა ჩვენ გავგზავნეთ, მაშასადამე ჩვენვე უნდა გავუძღ[illegible] საქმეს. სხვას რა ადგილი აქვს?

მეორე დამფუძნებელი წ. ჩვენ ამდენი დე[illegible]დი გავწიეთ და ეხლა სხვები გაპარპაშდნენ! დი[illegible] დიახ!.. ჩემის აზრით, ეხლავე გამგეობის წ[illegible]რები უნდა ავარჩიოთ, რომ საზოგადო კრე[illegible] დროს გარეშენი არავინ მოჰყვნენ შიგ.

ყველანი. მართალია, მართალია!

მეოთხე დამფუძნებელი წ. ერთი შენდ[illegible] თხოვნის გაგზავნის დროს მოგვივიდა: არ

სანიშნავ კარგად მოწყობილ სოფლად ითვლება საპნის ქარხნის „სუნლაიტის“ მუშების სოფელი. უმთავრეს ქარხნების ახლო აშენებულია განმარტოებული ოთხ, ექვს და რვა ოთახიანი სახლები. ეს სახლები მარტო ქარხნის მუშებს ეძლევა ქირით. ყოველ სახლს საკმაო მოზრდილი ბაღი აქვს, სადაც რამდენიმე ხილის ხე დგას და გამართულია ყვავილების ბახჩა და ბოსტანი. მუშები ქარხანაში რვა საათს მუშაობენ, ამიტომ საკმაო თავისუფალი დრო რჩებათ, რომ თავიანთ ბაღსა და ბოსტანსაც მოუარონ. თვითონ მუშაცა და იმისი სახლობაც ხალისიანად და სიამოვნებით მუშაობენ სუფთა ჰაერზე, მით უმეტეს, რომ ეს სამუშაო ჯან-მრთელობისათვისაც მარგებელია. მუშის ოჯახისათვის უმთავრესი სახსარი ცხოვრებისა ქარხანაში მუშაობაა; ბაღი და ბოსტანი კი მხოლოდ მეტი ლუკმაა, აქ მუშაობა—იმათთვის მხოლოდ სიამოვნება და შესვენებაა.

მეორე ამნაირი სოფელი მუშებისათვის მდიდარმა მეფაბრიკემ კადბიურიმ გამართა თავის შოკოლადის უზარმაზარ ფაბრიკის ახლო. ეს ფაბრიკა შორსაა გამართული ქალაქზე. როგორც „სუნლაიტის“ სოფელში, აქაც [illegible]მაზი და კარგად მოწყობილი განმარტოებული სახლებია გამართულ[illegible] სახლებს (მახ[illegible] მწვანე ბაღებია გა[illegible] აქვე [illegible] იდებს ყოველ[illegible] სკოლ[illegible] [illegible]ულებით ავად[illegible] დილით 10—1 დარბა[illegible] [illegible]მდე და საღამოთი 6—8-მდე.

სოფელში საკოოპერაციო დუქანი და წიგნის მაღაზიაა. გზები ამ სოფელში ძლიერ სუფთად ინახება. ერთის სიტყვით, აქაობა ყოველაფრით სიამოვნებას ჰგვრის და იზიდავს კაცსა. აქაური ხალხი ჯან-მრთელია; ყველა დარწმუნებულია, რომ მომავალიც კარგი ექნება, ამიტომ გულ-გატეხილ კაცს აქ ვერ შეჰხვდებით. ყველგან სიამოვნებასა და მხიარულებას ჰხედავთ. ქარხნის პატრონი და მუშები ერთმანეთს თავ-მდაბლად, გულ-ახდილად და ღირსეულად ექცევიან. მაგრამ ეს არც გასაკვირველია: კადბიური კვაკერია იმ ჯურისა, როგორისაც იყო ფილადელფიის დამაარსებელი განთქმული ვილიამ პენი. პოლიტიკაში რადიკალია და თავის რწმენას ყოველთვის მოგებასა და სარფაზე მაღლა აყენებს. შარშან სამხედრო სამინისტრომ დიდ-ძალი კაკაო შეუკვეთა ტრანსვაალში გასაგზავნად ჯარისათვის, მაგრამ კადბიურიმ უარი გამოუცხადა: როგორც კვაკერი და კაცობრიობის მეგობარი, ომის მტერი ვარო და ვერაფერს საქონელ ვერ გაუგზავნი იმ ჯარს, რომელიც ბურების სახლებსა და ფერმებს სწვავს და უბედურ დედაკაცებსა და ბავშვებს სამხედრო ბანაკებში სტანჯავსო.— ეს კიდევ არა კმარა. კადბიურიმ მაშინვე გაზ. „დეილი ნიუს“-ი იყიდა და რედაქციაში სულ [illegible] შეცვ[illegible] [illegible]ტრის რეაქციო[illegible] ნულ[illegible] სარევი[illegible] [illegible]ტერთა და მათის კანდიდატებისა.

(ნ. 3—3)

ამისთანა პატიოსანმა კაცმა თავის მუშების ცხოვრება ადამიანურად მოაწყოს.

ეს სოფლები, ეს ეგრედ წოდებული „ქალაქი-ბაღები“, რა თქმა უნდა, კეთილ-დღეობის იდეალს არ წარმოადგენენ; აქ სულაც არაა სავსებით განხორციელებული ის კარგი ყოფა და ის ბედნიერი ცხოვრება, როგორიც შეუძლიან განახორციელოს ეხლანდელ ტეხნიკურ საშუალებითა და წარმოების მძლავრ იარაღებით აღჭურვილ კაცობრიობას. მაგრამ მაინც ესეც დიდი წარმატებაა და დიდი ნაბიჯია, სიკეთისა, სამართლიანობისა და კაცთ-მოყვარეობის გზაზე გადადგმული.

მეორე მეფაბრიკემ, გვარად როვნტრიმ, კიდევ ერთი ნაბიჯი წადგა წინ. ესეც კვაკერია სარწმუნოებით, ესეც კაკაოს ფაბრიკის პატრონია. როვნტრი ძლიერ განათლებული კაცია და თავის მუშების მეგობარი. ამისი მუშები დღეში 8 საათს მუშაობენ და ფაბრიკის მოგებიდანაც წილს იღებენ. ამისი ვაჟი-შვილი გამოჩენილი მოღვაწე და რეფორმატორია. ახალგაზრდა როვნტრის წიგნმა ღიდსის მუშების ცხოვრებისა და შრომის პირობებზე საყოველთაო ყურადღება მიიზიდა წარსულ წელს. ახალგაზრდა მოღვაწემ მარტო თავის მუშებისათვის კი არ გამართა [illegible] „ქალაქი-ბაღი“,—არა, როვნტრიმ [illegible] მწარმოებელი კოოპერაც(წ).

წუნეთის ქუ[illegible] № 24 [illegible]-ბაღში“ საცხ[illegible]

როვნტრის ჰსურს საფაბრიკო, სახელო[illegible] და სამიწათ-მოქმედო შრომა შეაერთო[illegible] ამით ბევრის გამოჩენილ მოღვაწის ნა[illegible] საქმედ აქციოს. კაცობრიობის მეგობ[illegible] მთელი მე-XIX საუკუნე ამტკიცებდნენ, [illegible] მისა და განათლების ნაირ-ნაირობა და[illegible] და სხვაობა მეტად სასარგებლო და კეთ[illegible] ნაყოფიერი იქნებაო. ყოველმა მწარმოებ[illegible]მა რომ ან მჭედლისა, ან ხარატის და [illegible] დერციკის ხელობა იცოდეს, ამავე დრ[illegible] ბაღისა, ბოსტნისა და პირუტყვის მოვლა შეეძლოს, საბუნების-მეტყველო და სატეხნიკო განათლებაც ჰქონდეს, მაშინ შეუძლიან რიგ-რიგისად ჯერ სამი-ოთხი საათი ქარხანაში იმუშაოს, მერე ფაბრიკაში, ან სარძევეში და სხვა საშინაო სამეურნეო საქმეებშიაც. მწარმოებელი განვითარდება გონებითაც, ზნეობითაც და ჯანითაც; მერე ამისთანა განათლებულ და ხელ-გამომავალ მწარმოებელთა საზოგადოება ისეთ სიმდიდრესა და კეთილ-დღეობას შეჰქმნის, როგორიც ეხლანდელ, 16 საათის მუშაობისა[illegible] ღონე გამოცლილს, ნახევრად მშიერს უვიცს მწარმოებელს სიზმარშიაც [illegible] ლანდება.

[illegible] დაარს[illegible] ა[illegible]ი, სწორედ ამისთანა ჰიგიენ[illegible] [illegible]რთა ბელ სასოფლო-სამეურნეო და სა[illegible] [illegible]ელ „ქალაქ-ბაღს“ აშენებს ახალგაზრდ[illegible] [illegible]ტრიც. ჩვენ[illegible] შფელის გულით [illegible]ინაშე მარჯვება [illegible]ამდგომ[illegible]ატება ვ[illegible] ადგი[illegible]ტიოსან [illegible]იროებათა [illegible] [illegible]ი ენება).

გიხსენიეთ ამ საქმის გამართვის საჭიროება ქართულსა და სომხურს ენებზე იმ ქალაქში, სადაც უმრავლესობამ სხვა ენა არ იცის, და ეხლა მეორე შეცდომა გინდათ ჩაიდინოთ? ყველგან ასეა მიღებული, რომ ჯერ საზოგადო კრებას მოახდენენ ხოლმე და მერე გამგეობის წევრებს არჩ...

თავმჯდომარე (აწყვეტინებს). კმარა, ეგ განსახილველ საგანს არ ეხება. ამ საათში გამგეობის წევრები უნდა ავარჩიოთ. გამგეობის თავმჯდომარედ მე ჩემ თავს ვასახელებ, თქვენ წევრები დაასახელეთ...

პირველი დამფუძნებელი. რაღა დავასახელოთ! აი, ერთი წევრი აქა ვარ!

მეორე დამფუძნებელი. მეორეც აქა ვარ!

მესამე დამფუძნებელი წ. მე რაღა მიშავს ვითომ წევრად?

(ოთხი-ხუთი სხვაც ასახელებს თავის თავს)

თავმჯდომარე. ამ რიგად, გამგეობის წევრები ავარჩიეთ. ეხლა საზოგადოების ნამდვილ და დამხმარებელ წევრთა სია უნდა შევადგინოთ. მე ჩემთავად სამ კაცს ვასახელებ: ერთი ჩემი დეიდაშვილის მოყვარეა, მართალია, სოფლად სცხოვრობს, მაგრამ საჭირო იქიდანაც ხმა მოგვცეს; მეორე ჩემი მეზობელი და კარგი მეგობარია— თითქმის ყოველ საღამოს ვახშამს ერთად ვჭამთ; და მესამეც—ჩემი მახლობელია, ყოველდღე გოლოვინის პროსპექტზე დასეირნობს, მინდა ეხლა საზოგადო მოღვაწეობას შევაჩვიო...

მეექვსე დამფუძნ. წ. გთხოვთ, სიაში ჩემი ქმარიც შეიტანოთ, ყოველ საღამოს ვინტსა თამაშობს და მინდა გადავაჩვიო...

მეორე დამფ. წ. ჩასწერეთ ბებია ჩემიც, დილით საღამომდე მარტოკა ზის სახლში: გაერთობა მაინც.

მეშვიდე დამფუძნ. წ. თქვენ გენაცვალეთ, ჩემი ქალიც ჩასწერეთ! ვერ გავათხოვე და ვერა, ეგებ იქ მაინც ეშველოს რამე...

(სხვებიც ასევე ასახელებენ თავიანთ ნათესავებს, მოყვრებსა და მახლობლებს).

თავმჯდომარე. კრება გათავდა. ბ-ნებო, მადლობას გიცხადებთ იმ დაუღალავ შრომისათვის, რომელიც თქვენ გასწიეთ. ჩვენმა ღვაწლმა და შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა—დიდებული საქმე მოვაგვარეთ: ჩვენის წყალობით სწავლა, ცოდნა და განათლება ხელად გავრცელდება. ჩვენ კიდევ ამ შრომისათვის მადლიერი შთამომავლობა ძეგლებს დაგვიდგამს...

(ამ სიტყვების დროს ფარდა ნელ-ნელა ეშვება).

Spectator

თეატრი

მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 28 ნოემბერს, ქართულ თეატრში **ბენეფისია [illegible] არტისტის კონს. მესხისა.** ამ ბენეფისში მთელის დასის გარდა ეფემია მესხიც იღებს მონაწილეობას. წარმოსადგენად დანიშნულია ახალი პიესა „კოვერლეის მკვლელობა“.

—

ოზურგეთი. 22 ნოემბერს ოზურგეთის სამხედრო კლუბის დარბაზში ქ-ნ ჟღენტის თაოსნობითა და გამგეობით ადგილობრივ სცენის-მოყვარულთა მიერ სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქმნა გ. გუნიას პიესები „ვაის გაუყარე გზის შეყარე“ და „ხოლერობა“, დასასრულ ცოცხალი სურათები გაიმართა. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი გოლოვინა, შარაშიძე, ხუნდაძე, ჯაყელი. ბ-ნნი თუმანიშვილი, ღლონტი, ხურციძე, ბებურიშვილი, ახალაძე და სხ. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ. გოლოვინამ მშვენივრად შეასრულა ანასტასიას როლი; საუცხოვოდ ჩაატარეს აგრეთვე თავიანთი როლები თუმანიშვილმა და ხურციძემ; უკანასკნელმა ნიკას როლში გულიანად აცინა საზოგადოება. დანარჩენ მოთამაშეებსაც არა [illegible] რა; საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მთელი დარბაზი სავსე იყო. არ შეგვიძლიან აქვე არ აღვნიშნოთ, რომ თუმცა წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით იყო გამართული, მაგრამ ადგილობრივმა ვაჭრებმა ამ საქმეშიაც ჩვეულებრივი გულცივობა გამოიჩინეს: მიუხედავად განსაკუთრებით მოწვევა-მოპატიჟებისა, თეატრში ორი-სამა ვაჭარიც ძლივს იყო.

დასასრულ, მადლობის ღირსია წარმოდგენის გამართვაში უსასყიდლოდ მონაწილეობის მიღებისათვის ყველა დამხმარე-მოთამაშე, განსაკუთრებით [illegible] გამგე-მოთავე ქ-ნი ჟღენტისა.

ოზურგეთელი.

დეპეშა

([illegible]სეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ნოემბერი

[illegible]ონდონი. „მორნინგ პოსტ“-ი იუწყება, [illegible] საქმეთა სამინისტროდან [illegible] მოეწონა, ინგლისმა და გერმანიამ რომ ვენეცუელას ულტიმატუმი წარუდგინეს. ინგლისი და გერმანია ვენეცუელაში მეზღვაურების რაზმებს გადაიყვანენ და ტამოჟნას დაიჭერენ, ვიდრე სადავო საქმე არ გადასწყდება. შეერთებული შტატები საქმეში არ ერევიან.

დარმშტადტი. დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლით მოვიდნენ აქა. იმათ დაუხვდნენ დიდი ჰერცოგი, პრინცი ლიუდოვიკ ბატენბერგელი და რუსეთის ელჩი.

კონსტანტინოპოლი. საფრანგეთმა პროტესტი გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას იმის წინააღმდეგ, რომ ტრიპოლისისა, სირიისა, მონტეზერისა და ჯენოის ოლქებში მილიციას ჰკრებენ.

ლივადია. 26 ნოემბერს ლივადიის სასახლის ეკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს. პარაკლისზე მიიწვიეს ყველა იალტაში და მის მიდამოებში მყოფი წმ. გიორგის ჯვრის კავალერები და ჯარის-კაცები, რომლებსაც სამხედრო ორდენის ნიშნები აქვთ. ჯარის-კაცებს სადილი გაუმართეს. ხელმწიფე-იმპერატორმა სამხედრო ორდენის კავალერების სადღეგრძელო დალია და ღირს-ჰყო მოწყალე საუბრისა. 12 საათზე სასახლეში ოფიცრებისათვის გაიმართა საუზმე. ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ-ინება და გიორგის ჯვრის კავალრების სადღეგრძელო დალია. საუზმის შემდეგ ხელმწიფე-იმპერატორმა და დედოფალმა ყველა მიწვეულები საუბრით გააბედნიერეს.

ვენა. მთავრობა ხვალ ბრიუსელის საშაქრო კონვენციას რეიხსრატს წარუდგენს დასამტკიცებლად; მთავრობა კონვენციის დამტკიცების მომხრეა, რადგან კონვენცია ავსტრიისათვის საზარალო არ არის; თუ ვინიცობაა კონვენცია არ დამტკიცდა, მაშინ კი ავსტრიის შაქარს აღარ გაიტანენ იმ სახელმწიფოებში, რომლებმაც კონვენცია მიიღეს.

ლაგუეირა. გერმანიისა და ინგლისის წარმომადგენლები კარაკასიდან წავიდნენ, რადგან ვენეცუელის მთავრობამ ულტიმატუმის პასუხი არ მისცათ.

კიევი. საერო განათლების სამინისტროს მმართველმა ჟიტომირში სეკლესიო სკოლა და სამინისტროს სასწავლებლები დაათვალიერა; სასწავლებელში ყოფნის დროს ზენგერმა აღნიშნა: შემცდარია ის აზრი, ვითომ ორსავ ტიპის სკოლებს ერთს ადგილას არ შეუძლიანთ ნაყოფიერად იმოქმედონ, სახალხო განათლების მოთხოვნილება სრულიად ამართლებს სამინისტროსა და მართლმადიდებელ სარწმუნოების საერთო მოქმედებას, საჭიროა მხოლოდ ორივ უწყება თანხმობით მოქმედებდეს და ერთმანეთს ტყუილ-უბრალოდ არას ედავებოდეს, მის იმპერატორებით უდიდებულესობის ბრძანების თანახმადაც. დასასრულ ზენგერმა სთქვა, საერო განათლების მსახურნი უთანხმოების ხსენებასაც კი უნდა ერიდებოდნენ.

ბერლინი. რეიხსტაგმა 206 ხმის უმეტესობით 92 წინააღმდეგ—8 დეპუტატმა მონაწილეობა არ მიიღო—გრებერის წინადადება მიიღო. ამ წინადადების თანახმად, როცა საქმეთა განხილვის რიგის თაობაზე კამათი იქნება, თავმჯდომარეს უფლება ეძლევა საკუთარის ნებით გადასჭრას, ალაპარაკოს დეპუტატი, თუ არა და ყოველს დეპუტატსაც არ შეუძლიან 5 წამზე მეტი ილაპარაკოს.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია ფინანსთა სამინისტროს ცნობა. სამინისტრო აფრთხილებს ყველას, სპეკულიატორებმა მამულების ფასი ძლიერ ასწიეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

(0—64)

При каждомъ №, независимо отъ другихъ приложеній, подписчики получатъ по одно
а новые подписчики, выписывающіе также (за 1 р. 50 к., съ перес. 2 руб.) первые 1
соч. Лѣскова, получатъ ихъ при первомъ нумерѣ за 1903 г.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1903 годъ
(34-й годъ изданія)
на еженедѣльный иллюстрированный
ЖУРНАЛЪ
со многими приложеніями

НИВ

Гг. подписчики „НИВЫ“ получатъ въ теченіе 1903 года:

52 №№ художественно-литературнаго журнала „НИВА“, заключающаго въ себ… ченіе года до 2000 столбцовъ текста и 1100 гравюръ, рисунковъ и … венныхъ снимковъ.

40 ТОМЪ „Сборника Нивы“ (каждый отъ 10—15 листовъ, въ общем… 9,000 страницъ), содержащихъ:

полное собраніе сочиненій въ 16 ТОМАХЪ

АНТ. П. ЧЕХОВА

(цѣна въ отдѣльн. продажѣ 17 р. 50 к.), которое будетъ отпечатано четкимъ шрифтомъ на хорошо глазированной бумагѣ и будетъ выдано въ теченіе однаго 1903 год, и остальные

24 ТОМА полнаго собранія сочиненій

Н. С. ЛѢСКОВА

(Цѣна въ отдѣльной продажѣ 17 р.), значительно дополненнаго многими произведеніями, не вошедшими въ прежнія изданія, въ томъ числѣ: „По поводу“ „Крейцеровой сонаты“, „Мелочи архіерейской жизни“, „Расточитель“ и друг.

12 КНИГЪ „ЕЖЕМѢСЯЧ. ЛИТЕРАТУРНЫХЪ и ПОПУЛЯРНО-НАУЧНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ“, содержащихъ романы, повѣсти, разсказы, популярно-научныя и критическія статьи современныхъ авторовъ и отдѣлы библіографіи, музыки, смѣси, шахматовъ и шашекъ, спорта, забавъ и разныхъ игръ. До 2000 столбцовъ текста съ иллюстраціями.

12 №№ „Парижскихъ модъ“, выходящихъ ежемѣсячно. До 200 столбцовъ текста и 300 модныхъ гравюръ. Съ почтовымъ ящикомъ для отвѣтовъ на разнообразные вопросы подписчиковъ.

12 ЛИСТОВЪ рисунковъ (около 300) для рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и для выжиганія и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

1 „Стѣнной календарь“ на 1903 годъ, отпечатанный въ 9 красокъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годовое изданіе со всѣми приложеніями: безъ доставки: 1) въ С.-Петербургѣ—6 р. 50 к., 2) въ Москвѣ въ конт. Н. Н. Печковской (Петровск. линія)— 25 к., 3) въ Одессѣ въ кн. маг. „Образованіе„ (Ришельевск. № 12)—7 руб. 50 к. Съ кой въ С.-Петербургѣ—7 р. 50 к. Съ пересылкою во всѣ города и мѣстности Росс… границу—12 руб. Допускается разсрочка платежа въ 2, 3 и 4 срока. Новые подпи… лающіе получить, кромѣ „Нивы„ 1903 г. со всѣми приложеніями,—еще первые

12 ТОМОВЪ полнаго собранія соч. ЛѢСКОВА, приложенные при „Нивѣ“ доплачиваютъ единовременно при подпискѣ: безъ доставки в… 50 к.; безъ дост. въ Москвѣ и Одессѣ 1 р. 75 к. Съ дост. въ СПБ. и съ пе… нымъ и за границу—2 руб., такъ что ПОДПИСНАЯ ЦѢНА составитъ: безъ … Петербургѣ—8 руб., въ Москвѣ у Н. Печковской—9 руб.; 3) Одессѣ въ кн… ваніе“—9 р. 25 к. Съ доставкою въ С.-Петербургѣ—9 руб. 50 к., съ … мѣста Россіи—10 р. и за границу—14 руб.

Требованія просятъ адресовать: въ С-Петербургъ, въ Главную Конт… (А. Ф. Марксу), улица Гоголя (бывш. М. Морская), д. № 22.

Открыта подписка на 1903 годъ.

ВСѢМЪ

кто хочетъ слѣдить за многообразными проявленіями русской жизни и желаетъ знать своевременно всѣ русскія новости, но, за недостаткомъ времени, не имѣетъ возможности читать е… дневныя газеты,

можно рекомендовать подписаться на

„ЖИВОПИСНУЮ РОССІЮ“

иллюстрированный еженедѣльный вѣстникъ отчизновѣдѣнія, исторіи, культуры, государственной, общественной и экономической жизни Россіи, издаваемый Товариществомъ М. О. Вольфъ, подъ редакціей П. М Ольхина, Дѣйствительнаго Члена Императорскаго Русскаго Географическаго Общества.

„Живописная Россія“ состоитъ изъ двухъ отдѣловъ, изъ которыхъ каждый является по своей программѣ и содержанію, самостоятельнымъ органомъ печати. Первый отдѣлъ,

богато и художественно иллюстрированный

посвященъ отчизновѣдѣнію въ самомъ жирокомъ смыслѣ слова.—Второй отдѣлъ—

«временникъ живописной Россіи»—является серьезной еженедѣльной газетой,

имѣющей цѣлью дать интеллигентному читателю въ живомъ и исключительно фактическомъ изложеніи точное и правдивое изображеніе того, какъ живетъ Россія въ настоящемъ.

Оба отдѣла „Живописной Россіи“, занимающіе, какъ по новизнѣ своей программы, такъ и по средствамъ ея достиженія, совершенно обособленное положеніе въ семьѣ русской печати, даютъ читателю возможность обогатить свои познанія необходимымъ для каждаго русскаго человѣка изученіемъ родины въ ея прошломъ и настоящемъ и слѣдить, съ небольшой затратой времени, за текущей государственной, общественной, экономической и умственной жизнью Россіи.

„Живописная Россія“ выходитъ еженедѣльно

Такимъ образомъ, каждый подписчикъ получитъ въ теченіе года:

52 №№ интереснаго иллюстрированнаго журнала и | **52 №№** „Временника Живописной Россіи“.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА „Живописной Россіи“ на годъ съ доставкою и пересылкою во всѣ мѣста Россійской Имперіи 5 р. За границу на годъ 8 рублей.

Допускается разсрочка платежа, при чемъ при подпискѣ должно быть внесено не менѣе 2 р., остальныя же деньги могутъ высылаться черезъ каждые два мѣсяца по 1 рублю.

Подписная цѣна „Живописной Россіи“ совмѣстно съ двухнедѣльнымъ иллюстрированнымъ журналомъ „Новый Міръ“ на веленевой бумагѣ безплатными къ нему приложеніями: 24 №№ „Мозаики“, 12 кн. „Литературныхъ Вечеровъ“, 24 №№ „Всемірной Лѣтописи“, двѣнадцатью изящно переплетенными книгами „Библіотеки Русскихъ и Иностранныхъ Писателей“, въ составъ которыхъ въ 1903 г. входятъ: 6 томовъ сочиненій Д. И. Стахѣева и 6 томовъ сочиненій С. Смайльса, и двумя роскошными художественными изданіями-альбомами: „Гр. Л. Н. Толстой“ и „Русскій музей Императора Александра III“, съ доставкой и перес.: въ Россіи 14 руб., за границу 24 руб.—Желающіе получать „Новый Міръ“ на слоновой бумагѣ (вм. веленевой) уплачиваютъ за всѣ названныя изданія, съ дост. и перес.: въ Россіи, вм. 14 р.—18 р., за границу, вм. 24 р.—28 руб.—Разсрочка платежа допускается отъ 2 р. при подпискѣ и ежемѣс. не менѣе 1 руб., съ тѣмъ, чтобы вся подписная сумма была уплачена полностью не позже 10 декабря 1903 г.

Отдѣльные №№ „Жовописной Россіи“ продаются по 15 к., съ перес. по 20 коп. (можно почтовыми марками).

Подписка принимается въ книжныхъ магазинахъ Товарищества М. О. Вольфъ: С.-Петербургъ, Гостиный Дворъ, 18, и Москва, Кузнецкій Мостъ, 12, а также во всѣхъ прочихъ с… личныхъ и … хъ магаз…хъ.

…ербургъ … д. 5—7.

(Т. 6